საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №145/ნ
2023 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №219/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (N3822-XIIIმს-Xმპ; 15/12/2023) შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №219/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30.12.2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016256) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის წესდებაში" შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ღია კონკურსის წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ინსტიტუტის დირექტორის არჩევა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისათვის (შემდგომ-მინისტრი) დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მინისტრისათვის, დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე წინადადებით მიმართვა;“;

2. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამეცნიერო საბჭო სიითი უმრავლესობით, ღია კონკურსის წესით ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს. ინსტიტუტის დირექტორს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.“;

ბ) მე-3 პუნქტის:

ბ.ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ვალდებულია წარუდგინოს მინისტრს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და ინსტიტუტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყოველი კვარტალის ბოლოს ან მოთხოვნისთანავე;“;

ბ.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ფინანსური ხასითის პრობლემების შექმნისას, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მინისტრს არსებული მდგომარეობა;“;

ბ.გ) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებულ ინსტიტუტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის პროექტს ათანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (შემდგომ-სამინისტრო);“;

ბ.დ) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) მინისტრს ინსტიტუტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე.“;

3. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ **მუხლი 14. სახელმწიფო კონტროლი**

1. ინსტიტუტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც აწარმოებს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ინსტიტუტი ვალდებულია სამინისტროს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტებანი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი ამილახვარი**